

ს უ რ ა თ ი ა 0 1 6 0 დ ა მ ა ტ ი ა

განეთის № 169

დამატების № 30

პირა, 21 დეკემბერი 1914 წ.

# საქართველო

## ფრანგები

შტ.-კაპ. ი. კანჩელი  
(დაჭრილია)კაპ. თავ. ნიკოლოზ ციციშვილი  
(დაჭრილია)პოლკ-თავ. ნ. ხიმშიაშვილი  
(მოკლულია)პოლკ. კ. გამყრელიძე  
(მოკლულია)ჯარ.-კაც. რაჭდენ ტორონია  
(დაჭრილია)ქართ. ამს. სტამბის ასოთ  
ამშენები ალექ. რაჭმაძე  
(დაჭრილია)

### მაურვარების ღმერთი

აი, აცურდა ღრუბელი ცაზე  
ვით ქალის მხრებზე კულულ ნაწნავი;  
შელამდა ჩემშიც და ბნელ ფიქრებმა  
შემოაცურეს ზღვა გულში ნავი...  
მეწვია ღმერთი მძულვარებისა  
გამომიწოდა ცდუნების ხელი;  
— იცნობ ჯოჯოხეთს, გინახავს იგი  
გაგიგონია მისი სახელი?—  
გინახავს ჯადო მეფე სიკვდილის,  
ორ დასაბამის საგმობელ-წამო,  
ან შობა ახალ მარადისობის?—  
წამომყე წამო... წამომყე წამო..

\*\*

უსაზღვრო ველი—  
თბილ სისხლით სველი,  
ზედ მოცურავე სიკვდილის გველი,  
კვნესა, წყველის ხმა სუსტი და ნელი  
და ამოსუნთქვა უკანასკნელი!—  
ახლად დამცრალი თოფთა საკირე,  
ჰაერი მწვავე, ჰაერი მძიმე,  
ცოდვის ანგელოზთ მწუხარე ფრენა,  
ამ სოფლის კიდე—იმ ქეეყნის მღვიმე!—  
მოხეტიალე სულთა განგაში,  
ბრბო უსხეულო მოჩვენებათა,  
აუსრულებელ სურვილთა მტვერი,  
ფერფლი ფოლადის გულის ნებათა!..

\*

ეს შავ ლეგენდათ აპოთეოზი  
ჰქმნის მძულვარების ღმერთთა სამყოფელს  
და მასში რაღაც ძნელ-საცნობი ხმა  
მეძახის თვისკენ—მაშორებს სოფელს  
რომ იქ გადმომცეს მძულვარე ენა,—  
წყველის სიმჭევრე, წყველის სამსალა,—  
დაგბრუნდე უკან და დავწყევლო ის,  
ვინც ეს ქვეყანა სისხლად დასუალი..

ს. ფაშალიშვილი.

ჯარის-კაცი ჯაფარიძე  
(დაჭრილია)ჯარ.-კ. იმოლიტე ბარბარიძე  
(დაჭრილია)თავ. ალექ. (ბუჭუტა) აბაშიძე  
(მოკლულია) საფრანგეთში, სა-  
დაც ჯავებში იყო ჩატერილი.



დ მ ა ნ ი  
არმიის და მთათიშვილის საბაძენი (დაჭრილი).

## გუჩქის პვესას...

გუჩქის კვესას მკერდს იხუტებს  
ველი ნაღვლიანი;  
არეს ზღაპარს უბუტბუტებს  
ლაშის კაეშანი...

\*\*

დამჭერარ ფოთლებს აშრიალებს  
შემოდგომის ქარი;  
შხამის ცრემლით მიწვავს თვალებს  
სულის ნიაღვარი...

კიკნა-ფშაველა.

## გრძოლის ფივე

მთას, ბარსა გადაეფინა ფიფქი ბრძოლისა ახლი  
ყვავილი მოჰყავა საბრალო, სწვავს მას ყინვისა ახ, ალი.  
ვაჲ, ვინ უშველოს საწყალსა, ვინ მიანიჭოს წამალი,  
ვინ უძლენის სხივი შეებისა, ვინ გაუღვიოს წამ ალი...  
ეგრედვე გული საბრალო ქვეშ მოჰყავა შენსა მზერასა,  
უშენოდ მიმიშს სიცოცხლე, უშენოდ მომცემს მზე რასა?!

გ. ლეონიძე.

## ყრმოვის სიზმარი

1  
მე მაგონდება ყრმობის სიზმარი,  
თითქოს ცად მქონდა თავშესაფარი.  
ვარსკვლავებს შორის დაგნავარდობდი  
ვარსკვლავებს კერეფი არა ვდარდობდი.  
თვალ წინ მიღება ვით ვფრენდი ძალა,  
მიგალობებდა ანგელოზთ გუნდი  
ვერა, ვერ ვგრძნობდი რა იყო დალლა  
ვერ მიძონებდა კაეშის ხუნდი.  
ეხლაც სიზმარი ის, არ მშორდება  
თუც ვიცი აღარ განმეორდება.

2

შენ ჩემის ლტოლვით გასაზრდოებდი,  
მჯეროდა შეებას მენში ეპოებდი;  
ან, რა ვიცოდი სულის იავ ეს,  
თუ კვლავ იგრძნობდა სული სიავეს,  
მაგრამ მყის გაქერა სიამე სრული,  
ესმს გარდასულსა ვერ განახლებ  
აშ და მაჩნდეს იარა, წყლული,  
გმარა, გამშორდი ხელს ხულა მახლებ.  
დღეს ტრავა შენი ჩემგან შორს არ,  
როგორც ის წმინდა ყრმობის სიზმარი.

მთის ნიავი.

## მორდალათე

(დასასრული \*)

არტილერიის ცეცხლი თან და თან გაღვივდა. საშინელს გრი-  
ალში გაერთიანებული ცა და ხმელა ყრუდ ზანზარებდა. გორაკის  
წინა სივრცეზე, იქ, სადაც რაზმის ბატარეა იდგა, ხან აქ, ხან იქ  
ჰერთქმნენ მტრის ყუმბარები. მათი გავარვარებული ბუშტები უფ-  
რო და უფრო ახლოს სკდებოდნენ: მარცნით და მარჯვით, წინ და  
უკან; თითქოს ჩამოსავარდნად მოხერხებულ ადგილს ირჩევნო, და-  
ცემის დროს გულმოსულად იღრანებოდნენ; ათას ნაპელვაელად ქცე-

ული ნამსხვრევები შივილ-სისინით იტანტებოდნენ ჰაერში. გორაკს  
კომლის რიდე გადაეფარა.

რენე სდგას უძრავად და თვალს არ აშორებს იმ საბედისწე-  
რო გორაკს, რომელიც მთლიან ალსა და კვამლშია გახვეული. უც-  
ქერის, თუმცა გარკვევით ვერაფერს ხედავს. მაგრამ, სჩანს, ესენიც  
მარჯვედ არიან: მწყობრად გრილებენ რაზმის ზარბაზნები, მქაფი-  
ოდ და ზედმიწევნით გუგუნებენ ტუშმოკლე გაუბიცები; ტყვიის-  
მფრქვეველთა ჭაბჭაბისაგან ყურთა სმენა აღარ არის.

სდგას და არას ფიქრობს. საკუთარი თავის ადგილს თითქოს  
ცალიერი ბუშტი მოაბეს: მხოლოდ ყრუ ლრიანცელის გამოხმობა იქ  
და მეტი არაფერი.

მტრის არტილერიამ ცეცხლი გააორკეცა. აპა, ზედ გორაკის  
წვერვალზე იხრიათ რაღაცამ ერთხელ, ორჯერ... განუჭრეტელმა  
კორიანტელმა დაპბურა მთელი მიდამო. ველარი გაარჩია რა. ცხადი  
იყო მტრის არტილერიამ იპოვა ბატარეიის სადგომი...

პირი იბრუნა: ქვევით, მდინარის პირად ატეხილს ლიშხნარში,  
ჩქარი ნაბიჯით გაიშალა რაზმის პირველი და მეოთხე ბატალიო-  
ნი, იგინი, რომელიც მოწინავე ჯგუფს შეაღენდნენ ძუძულოთ  
მიიჭრნენ პატარა ღელემდე, ჩასხდნენ და ასტეხს საშინელი სროლა-  
ბატარეა კანტი-კუნტად-ლა ისროდა...

— ცუდათაა საქმე!

წაილაპარაკა ანძასავით აყუდებულმა კაპრალმა, რომელმაც საჩ-  
ქაროდ ჩაურბინა გვერდს რენეს.

— რაო?

შიშით იკითხა ბავარიელმა.

— ბატარეა ჩააჩუმეს!

გულგრილად მიუგო რენემ.

— მესამე ბატალიონი საიერიშოდ მიემართება!

დაუმატა ზიგფრიდმა.

— სად ჯანდაბას მიემართება, როცა მტერი არა სჩანს?

— ნუ სჩქარობ, ჩემო პატარავ, მალე დაინახავ!

— აპ, ლმერთო, მისგლაც რომ აღარ გვაცალეს!

— საით აპირებდით გასეირნებას?

სიცილით შეეკითხა ზიგფრიდი.

— აკ საშველად მივდიოდი!

— ჰი, ჰი, ჰი—გვამშივე ჩაიხვისეინა ხუმარამ—ძალიან უკაც-  
რავად არიან!

მტრის გამარჯვებულმა არტილერიამ ახლა ნაძნარი გაიხადა  
მიზნად: სახეობო შუშეუნებივით სკდებოდა მის თავზე უთვალავი



\*) ი. სურათებიანი დამატება № 29.



ნავთლული. მძიმედ დაჭრილ მეომართა გადმოყვანა.



ნავთლული. დაჭრილ ტკე ოსმალთა გადმოყვანა.

შრაპნელი; მის საზარელ შუშხნს უერთდებოდა ტყის ლაწა-ლუწი. იქ ჩასურულმა ცხენოსნებმა ვეღარ გაუძლეს ლითონის წევის, სიჩქარით უტიეს გადმოიარეს მდიხარე და მის სანაპიროებზე ატე-ზილს ხვილით შეეფარენ.

გათენდა. კაცი კაცი გაარჩევდა ოთვის სასროლზე მტერმაც თითქოს მიანელა არტილერიის ცეცხლი. მაგრამ წუთით: უცრად ჰორიზონტზე მკრთალად დაისახა მოძრავი ზოლი, რომელიც თან და თან იზრდებოდა, მსხვილდებოდა და თავგრუდამხვევი სისწრაფით მოილტვოდა წინ. წუთიც და ნაძნარის იქითა მხარეს ნათლად გა-მოჩნდა მტრის დრაგუნთა ესკადრონები. თითქოს ერთმანეთისოფას გადაუბამთო, მტიდრო რიგებად იძროდნენ, მხარ და მხარ, წყო-ბის გაუხრელად: ხალამოწვდილი, გალური, ძეა-ასხმული ჩაჩნე-ბით საუცხოოსა და თან საშინელ სურათს წარმოადგნდნენ. მტცერ-სა და ქვიშას ანიავებდა მათი შეუპოვარი ქროლვა. მოპერონებს და თან მოპერნდათ ბრძოლის ქარტებილი: მკვეთრი კიუინა, იარალის ჩხარუნი, მათრახი ტკიცინი, ცხენთა ფთქვენა და ფოლთა თქარა-თქური...

მათ დასახვედრად მყის ალაპარაკდნენ გერმანელთა ტყვიის-მფრქვევლები, გაბმით ატკრციალდნენ მსროლელთა ბატალიონები; ფრანგთა რაზები მაინც არ შედრკნენ, ქროლვით მოალწიეს მდინა-რის პირს და ის-იყო დაეშვნენ გადმოსასვლელად, რომ ხვილიფიდან ელვასავით გამოიჭნენ ულანები და ფიცხლად შეუტიეს...

— ღმერთო, ღმერთო!

უაზროდ ბლუჯენებს ფერწასული ბაგარიელი.

— არა, მისვლაც რომ ალარ გვაცალეს ი ბაყაყიჭამიებმა!

აჯავრებს ზიგფრიდი.

რენე უნებურად ჰკანკალებს. მაგრამ ჩაუბლუჯავს თავისი ლუ-ლა და თოთის: იცის, რომ მისი ჯერიც მალე მოვა.

მარჯვნით, კუბისავით ვიწრო ხევში, ვოგეზემიდან ჩამომავალს გზაზე წერის გუნდივით გაიბართა ფრანგთა ქვეითა ჯარი. ხევს რომ გამოსცილდა, მცირე რაზებიად დაიყო, რომელიც გველური ცო-ვითა და მუხლზე ჩინქვით მოუახლოებენ გერმანელთა მოწინავე სანგრებს და შეჩერდნენ, მერე ერთბაშიდ მიწას განერთხნენ და ას-ტეხეს გაერთიანებული, უწყვეტი სროლა. მათ მოპყვა მეორე აზ-მი, რომელიც გლუჯვითვე მოუახლოებდა იმ ადგილს, სადაც მოწინა-ვენი იწვენენ; მაშინ პირველებმა შუა გაყოფვით გზა მისცეს, გაატა-რეს უკანანი და თვითონ მგლური ძუნძულით შემოეხვივნენ საბატა-რეო მალლობის მისავალს. მათი გამწარებული იერიშის მიზანი არ-ტილერია იყო.

— ტრა, ტა, ტა—ტრა, ტა, ტაა!

ტყვიასავით მოხვდა რენეს ყურს მჭრელი ხმა. მან იცნო იგი—კონტრ იერიშის საყვირი.

ბატალიონმა ხიშტის ქეჩი აშალა და მოწყვეტ გაექანა ბატა-რეიას საზველად: ძუნძულით იირბინეს აღმართი, გაივარეს, სულს ძლიერს იბრუნებენ. მირბის რენეც, კისერში სცემს მძიმე პარკი. აი ეგერ: სულ რაღაც რარასი ნაბიჯი-ლაა იქამდე. ტყვიას ზუზუნი გააქეს მის გარშემო, შრაპნელები ნაბეჭვიერებად იფანტებიან, თოთვისწამ-ლისა და ტრუსის სუზი სუნთქვას ანელებს. სულ ახლოს და ახლოს მოსხანი ფრანგთა წითელი ქუდები. ყოველი მხრიდან იძრიან იგი: მარჯვით, შეგვნით, ზეგვიდან, ქვევიდან, თითქოს მიწის გულიდან ამოსცდნენ. უცრად მოვარდნილ ნიაღვარივით მოაწყდნენ ბატა-რეიას სადგომს. ყურის გამხვრეტი ტრომპეტი აქეზებს მათს შეუპოვარ სვლას—მათრახის ცემისავით ერეკება მისი მწივანა ხმა გააღქა-ჯებულ ზეუვებს სულ წინ და წინ, გორაკის ასაღებად.

მაგრამ ეს რაა? რად შესდგნენ იგინი ასე უცრად, როდესაც მათი მოწინავენი თითქოს ზარბაზნის ტუჩს ეხებოდნენ?



ნავთლული. მძიმედ დაჭრილ მეომართა საკაცებით გადატანა.

აპა, პირველი რიგი, ის, რომელსაც, ის-იყო, ხელი უნდა და-ედვა არტილერიისთვის, წუთით შეტორტმანდა და მოთიბულივით ერთბაშად ძირს დაეშვა.

რა მოხდა?

ტყვიისმფრქვეველთა მარჯვედ მიმართულმა ცეცხლმა სწრაფად გაათხელა მოირიშეთა პირველი წყება. ზუავები შედრკნენ. მათი იერიში გატყდა. ილტვიან...

— ნუ თუ?

იმეორებს რენე და მირბის; მიექანება შეუფერხებლად. ველა-რას ხედავს, ალარაფერი ესმის. მის წინ მოსხლეობი ეცემა ვილაც, ფე-ხებში ებანდება: ეს ხუმარი ზიგფრიდია! ფეხს არიდებს და მირბის. მიაღწიეს. რა საშინელი სანახაობაა: ყუმბარებისგან ახნულს მიწაზე უთავ-ბოლოდ ჰკრია დასახიჩრებული გვამები; ზარბაზნების ნამ-სხვრევთა შორის მოფანტულა ადამიანისა, თუ ცხოველის ასო-ნაწ-ლავები—ვინ გარჩიოს, რომელი რომელს ეკუთვნის! ის ლულადა-მეჭილ ზარბაზანს უნაგირივით გადასჯდომია ადამიანის მხოლოდ ქვედა ტანი, თავი და მეტერი ალარ აქვს, ცივად მოუწყევეტია. ეგერ, ბორბლის რიკსა და რიკს შუა გოგრასავით გაკვეხებულა კან გა-დაგლეჯილი თავის ქალა; აგერ, ცხენი და კაცი ერთმანეთს გადა-ხვევია, მათ თავს დასწოლია ყუმბარების მძიმე ყუთი და გაუსრე-სა; სასროლად განმზადილი კაბინიერი თავით მიუსრესია ზარბაზ-ნის ჯავშანზე, ტკინი და ადულებული სისხლი ერთად შედედებულა და ჩურჩელასავით დაპერდებია ფოლადის ფიცარს. ხოლო ცოტა მოშორებით, სანგრების მისავალში ხროვად დამდგარა მოირიშეთა გვამები: ზოგი მიწას გართხულა, ზოგი თითქოს ნებისად წამოწო-ლილა, ზოგიც უცნაურად მოკრუნჩხულა, გეგონება, უცრად მუცე-ლი ასტკივნიაო; რიგი მლოცველივით დაბრეილა, ხელი ალუპკრია და გაქვავებულა; რიგი თავქვე, რიგი პირალმა; ფეხი ჰელინაუს გამოზა-გებულ ნაწლევთა შორის—ყველგან სისხლი, ყველგან სიკვდილი გა-მფებულა.

თითქოს ეს ჯოჯოხეთი კიდევ უსრულია, პირალებით გრიალებს მტრის უჩინარი არტილერია. დალუბულ რიგებს ახალ-ახალი რაზები ენაცვლებიან, ლურჯად ჩაცმული, პაჭებიანი ალპიელი მსროლელი შავარდნებივით ეკვეთნება გერმანელთა ბაშველ ბატალიონს, რომელ-საც ზურგს უმაგრებს ტყვიისმფრქვეველთა გახურებული სეტყა. დადგა საშინელი წუთი, შავი და სიკვდილივით მდუმარე. ხვენშა-ლა ისმის მეორებისა. მწკრივები დაიშალნენ, ხელჩართვით, გაფანტუ-ლად მიესივნენ ერთმანეთს...

## გრძელი დასავლეთ ეპოქის ასპარეზი



ინგლისელების შეტროპოლის და ახალშენის ჯარის (ინდოელი სიმაგრი) იერიში გერმანელებზე.

— ღმიერთ! ნუ თუ ესენიც..

ჰემინავს ლორენცელი და გაცოფებული მიწევს წინ.

თავ-ქუდმოგლეჯილი, ხმალ-მოწვდილი მოარვევს მტრის დარკინულ რაზმს ფრანგი ლეიტენანტი. უწყვრ-უფლვაშო, თითქმის ბავშვი ელვის სისწავით იქნებს ბასრ ხმალს. ყურის ძირში თქრიალით სდის ლეკერტი სისხლი, შავად ილებება მისი ლურჯი საყელო. იქნებს და მოწევს. მარჯვე ახალგაზდა მქლავი: მარცხნით და მარჯვნით ადგილი აცალიერებს. თან და თან უახლოვდება ბატარეის, უკან მოსდევენ მხნე ალპიელნი. ცოტაც და... მაგრამ მის შესახვედრიდ მიიჭრა ანძასეით აუდებული, თავდარკინული კაპრალი. ცილივით აღმართა უზარმაზარი ხმალი და ლრიალება. მისწვდა. დაუნიჩის ბირდენ ერთმანეთს. ხმლები გადაჭინწლეს...

— იქ, იქ..

— ჰეკვენის რენე. მის ხიშტს სისხლის კამარა ჩამოსდის, ამხანაგებისავი, გერმანელების სისხლი. წინ ელობებიან, არ უშვებენ. მჭიდროობა, ხიშტს ედორ გართავს. გვერდით აწვება ჩალიზულ რიგებს და სოლივით ეჭვედება შიგ...

— გზა, გზა!..

სასოწარკვეთით იძახის იგი და ცდილობს მისწვდეს არტილერისტის ვეებერთელა ხმალს, რომელიც იქვე ჰეტევადა... წადილიც აუსრულდა. თოფი ძირს დაანარკება, ხმაობი მოიმარჯვა და გააფთრებული ჩავარდა. კაპრალსა და ლეიტენანტს შუა. უკანასკნელი შედრება. გაფთორებულმა თვალი თვალში გაუყარა რენეს: საყვედურთან ერთად იქ საშინელი უსასონბაც ჩაისახა; ამ წუთით ისროგებლა კაპრალმა, მოწვევეტ დასცა ხმალი მტრის ბეჭს და კვლავ აღმართა, მაგრამ აღარ დასცალდა: რენეს მიერ მხარ-ილლივ მოქნეულმა მახვილმა თავგაპობილი დასცა იგი ძირს. მყის ირგვლივ შემოტრიალდა, დაჭრილ ლომივით დაიქუხა და მიერთა გარსმოჯარებულ გერმანელებს: წამს ნაკალოვარივით მილეწ-მოლეწა იქაურობა და გზაც გაიკაფა. დაატანა ხელი დაჭრილ ლეიტენანტს, შეიგდო მხარზე და ჯიქურ დაეშვა დალმართს.

მირბის და ძლიერ მიაქვეს თვისი ძვირფასი ტვირთი. ტყვია და დამარცხებული გადასახლის მის გარშემო. კავალსა და მტვერზი ძლიერ იკვლევს გზას, მაგრამ მაინც წინ მიიღოვის. არად აგდებს ათასგარ საურაოს. ალლო ამოქმედებს, აღამიანის გვირგვინი — ალლო: მხარზე ძმა უძიეს, თვისი სისხლ-ხორცი — ტურფა ლორენის შვილი... რაღამ უნდა შეაყენოს?!

მირბის და მიაქვეს იქ, სალაც ფრიალებს რესპუბლიკის სამფერვანი დოროშა. თან და თან შორდება ქარ-ცეცხლის ფარგალს. ყრუდ-ლა მოისმის იერიშის ლრიანცელი. ჩქე, ნათლად მოსხანს ფრანგთა პოზიციები. ეშველა, სამშვიდობოს გაიტანა დაჭრილი მოძმე...

მაგრამ ეს რაა? ბეჭის ფრთას თითქო სადგისი გაუცვეს, ხერხემლის ძვალს რალაც თბილი დაჰყვა... მირბის, მაგრამ წელს ველარიმაგრებს... მუხლი ეკვეთება, თავი უმძიმდება...

— ღმიერთო, ღმიერთო!

უბმოდ იმეორებს და ნელ-ნელა ძირს ეშვება. ცის გუმბათი დაბლდება, ჰორიზონტი შავად იბურება. ჩამოსცხა, ჩამოსცხა საშინალად. თვალთა უბებს ძილი ეკიდება, სხეული უცნაურად ეკრუნება...

ეგერ კი, ხევს გაღმა, გარკვევით ისმის ნაცნობი საყვირის ხმა, გამარჯვების მევეთრი ტრომპეტი.

— ოჳ, რა ახლოა!..

ძლიერ ხრიალებს იგი და იბნიდება...!

— საკვირველია — ამბობს ახალგაზდა ექიმი, რომლის ნაცალი ხელიც მზრუნველობით სინჯავს დაჭრილ გერმანელს — წინიდან ცრა ერთი ჭრილობა არ აქვს! მხოლოდ შურგში, ბეჭის ფრთის გასწრივ... ალბად თავისიანებსავე დაუჭრიათ ღალატისათვის!

— ცოცხალია?

ეკითხება სანიტარი.

— თითქმის. თუმცა ჭრილობა ძლიერ სამძიმოა.

— დაძროს აიტანს?

— სააქვა. მაგრამ მაინც ვსცადოთ. მოიტა სასუნთქებელი! დაჭრილობა ხარბად შეისუნთქა, ოდნავ ამოიგმინა და მარცხენა თვალის უპე შეუთამაშდა.

— ოჳმ, კარგია! აბა კიდევ...

ჩასხურებული დაჩიქილმა ექიმმა და კვლავ მიაყრდნო შუშა.

დაჭრილის გაყვითლებული ცხეირი ცივმა ოფლა დასცვარა. წუთით გახაილა მიმქრალი თვალი და, როდესაც შიგ ჩახატა მის წინ საკაცებე მდებარე ლეიტენანტის ტიპიური ფრანგული სახე, თაფლისფერი თვალებითა და გალური ქერა წარბებით, თითქო სიამე იგრძიო: ტუჩი სალიმოდ განამზადა.

— ვინა ხარ?

წყარად შეეკითხა ექიმი.

ავადმყოფის გადანაცელ სახეს საშინელი იერი გადაეკრა: ეტყობოდა, თავს ძალას ატანდა, სიკვდილს ეძალებოდა.

— ლორენ...

ოდნავ გასაგონი ხმით დაიჩურებულა მან და სამუდამოდ მიუჩდა.

ა. ჭუმბაძე.